1. „თანამესაკუთრეთა თნხმობის“ ველში ატვირთულია თელასთან გაფორმებული ხელშერულება, რომლის საფუძველზედა მოხდა რეესტრში მიწების დაყოფა და რომელიც წარმნოადგენს მტკიცებულებას რომ აღნიშნული მშენებლობის განხორციელებაზე არ არის წინააღმდეგი და მათთან შეთანხმებით ხდება მშენებლობაც და მათი საკუთრების ადგილმონაცვლეობაც.
2. გთხოვთ იხილოთ ქ.თბილისის საკრებულოს 2019წლის 27 დეკემბრის განკარგულება #438 როლითაც, გრგ-ს საფუძველზე დადგინდა კოეფიციენტის მომატების საკითხი (თავისუფალი ველის არარსებობის გამო ვერ ავტვირთეთ ეს განკარგულება).
3. კოეფიციენტი კი მომატებულია გრგ-ს საფუძველზე და არა მერის ბრძანებით - სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ. ყველა რეგულაცია, მათ შორის, კანონიც მხოლოდ - სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემისას ითვალისწინებს მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებას.
   14-39მითითებაა კანონზე: სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე მოსაკრებელი განისაზღვრება „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

   ასევე, აღნიშნული ობიექტისთვის გამოყენებელია დაუმთავრებელი შენობა/ნაგებობებისთვის დადგენილი ხელშემწყობი ღონისძიებები,რის საფუძველზედაც სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შემთხვევაშიც კი გათავისუფლებულია დაუმთავრებელი მშენებლობა მოსაკრებლის გადახდისგან:

ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17-49

2014 წლის 12 დეკემბერი

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

4 მოსაკრებლის გადახდა არ ხდება თუ:

ა) ნაკვეთზე სამშენებლო განვითარების დროს ახალი მაჩვენებლები არ აღემატება თავდაპირველ ფაქტობრივ კოეფიციენტებს (მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ-1, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2) და მიწის ნაკვეთის არსებული გამოყენება არ არის ,,შეუსაბამო”;

ბ) მშენებლობის ნებართვას გაუვიდა ვადა და განხორციელდა ამ წესის შეთანხმებული პროექტის განახლება;

გ) სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ითვალისწინებს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გაზრდას არა უმეტეს 20%-ით;

დ) ფიზიკური და იურიდიული პირების, ასევე სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი წარმონაქმნების (ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობები და ა.შ.) მიერ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე ხორციელდება
იმ საცხოვრებელი სახლების დემონტაჟი, რომელთა სართულების სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 2.7 მ-ზე ნაკლებია, არ გააჩნიათ ლიფტი და რომელთა ექსპლუატაციის ვადა განსაზღვრული იყო მაქსიმუმ 50 წლამდე ვადით;

ე) სამშენებლო მიწის ნაკვეთზე ხორციელდება მრავალბინიანი (ოთხი სართული და მეტი) საცხოვრებელი სახლისა და მისი დამოუკიდებელი ფუძის მქონე კარკასული ტიპის მიშენების დემონტაჟი;

ვ) სამშენებლო მიწის ნაკვეთზე ხორციელდება ამორტიზებული მრავალბინიანი (ოთხი სართული და მეტი) საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი;

ზ) სახელმწიფო ან ადგილობრივი ქონების განმკარგველი ორგანოს გადაწყვეტილებით ან თანხმობით, უძრავი ქონების განკარგვის შემთხვევაში, უძრავი ქონების გასხვისების პირობად განისაზღვრა უძრავ ქონებაზე ინვესტიციის განხორციელება და ქონების შემძენის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებლის გადახდისგან გათავისუფლება;

თ) სამშენებლო ობიექტზე „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 35-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე.